**3.1. ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ პირთა ვინაობა), კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა.**

**2016 წელი**

სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კონკურსი გამოცხადდა სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების მთავარი სპეციალისტებისა და სპეციალისტების თანამდებობებზე.

აღნიშნულ ვაკანტურ თანამდებობებზე სულ შემოტანილ იქნა 166 განაცხადი.

კონკურსის პირველი ეტაპის - განცხადების გადარჩევის შედეგად გასაუბრებაზე მოწვეულ იქნა 25 კანდიდატი. გამოცხადდა და გასაუბრება გაიარა 9 კანდიდატმა. კონკურსი ჩატარდა 2016 წლის 6 სექტემბერს.

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა 3 კანდიდატმა:

1. ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოს სპეციალისტი (GIS) - მარიკა ნარსია;
2. სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე - ელენე კაპანაძე;
3. საწარმოო, საზოგადოებრივი და სხვა დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის სამმართველოს სპეციალისტი - მონიკა ჯეირანაშვილი.

**საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით კონკურსი გამოცხადდა ჩაშლილად:**

- ენერგოგენერაციისა და მასთან დაკავშირებული ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე;

კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა განსაზღვრულია საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვალი N 46 ბრძანებულებით ,,საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ".